



იმისთანა წმინდა საცემში, ბოგბილ ბუქდუბი სიფყავს, ცუდილებით და ჭბრებით ბუბთის გაფანა ყულა უკადრისბაზუ უსამაგოლსია.

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

# რესპუბლიკა

შაბათი-კვირა, 6-7 ივლისი. 2019 წ. №135-136 (8801-8802)

ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru

ფასი 60 თეთრი

## ბიძინას ბიძინასგან

# „არ იქნება საქართველო, არ იქნება ევროპა“!



**არაფერი, სიმათლის გარდა!**

დღეის ავას იმით ყველა ჩავს წერილს ერთი სათაური ექნება – „ბიძინას ბიძინასგან“. რა რაპურ-სიტაც არ უნდა დააკვირდე პოლიტიკურ პროცესს, ყველა შემთხვევაში ერთ უპირობო დასკვნამდე მიდიხარ – ყველაფერზე, რაც ქართულ პოლიტიკაში ხდება, მთავარი პასუხისმგებელი სუნიძე-ტი ბიძინა ივანიშვილია. მნიშვნელოვანი ისაა, რომ საზოგადოების ეს დამოკიდებულება კალიან გუნდობრივად აღიქმება და კამათსაც კი არ იწვევს. რაც შეეხება მიზეზებს... მიზეზი ერთ წინადადებაში ეტყება – ბატონი ბიძინას ავტორიტატი და მისდამი ნდობა კვლავაც კალიან მაღალია, პოლიტიკური სისტემა უმწიფრობის სტადიაშია ჩარჩენილი, ხოლო სამთავრო საზოგადოება ჯერაც ვერ ჩამოყალიბდა.

ბატონო ბიძინა! 2012 წლის 1 ოქტომბრის შემდეგ ორმოცამდე ანალიტიკური წერილი მაქვს გამოქვეყნებული. ცარიელ ადგილზე აღმოცენებული 20 ივნისის ღამის შემდგომ პერიოდში, კიდევ ერთხელ, გულდასმით წავიკითხე თითოეული მათგანი და იმ სამსუხარო (ტრაგიკულ) დასკვნამდე მივედი, რომ მმართველი პოლიტიკური ძალის ანალიტიკური და PR სამსახურები, უბრალოდ, ვერ ან არ მუშაობენ.

სხვანაირადაც ვიტყვი: „ქართული ოცნების“ ანალიტიკური სამსახურები და პიარ-ჯგუფები დაინტერესებული რომ იყვნენ საზოგადოების დამოკიდებულებით ამა თუ იმ პრობლემური საკითხების მიმართ, თუნდაც ჩემი წერილების გაცნობის შემთხვევაშიც კი, ნაკლებ შეცდომებს დაუშვებდნენ და საქმე გაცლივით კარგად იქნებოდა.

ბატონო ბიძინა, უკვე შეურაცხყოფელ სახეს იღებს მმართველი პარტიის ურეაქციო ხალხის წიალიდან მრავალათასჯერ ამოთქმულზე, რომ ყველა პრობლემის სათავე ქვეყნის ყველა კუთხე-კუნჭულს ობობას ქსელივით მოდებული უსამართლობის განცდაა.

„ქართული ოცნების“ ხელისუფლებამ დროა, გონებაში ჩაიბეჭდოს, რომ ქართული სახელმწიფო ვერ შედგება, ვიდრე მრავალ სისტემურ დანაშაულში მხილებული პირები და ორგანიზაციები, დაუსჯელობით გათამამებულნი, აქეთ გვასწავლიან ჭკუას. ვიდრე ძალადობის, ძარცვისა და სამშობლოს ღალატისთვის გასასამართლებელი „ნაფთობარობა“, თავისი სატელიტებითა და თავისი პარტიული ტელევიზიებით, აქეთ გვიდგენს პოლიტიკურ დღის წესრიგს და ჩვენ მიერ არჩეული ხელისუფლება თავის მართლების რეჟიმში ჰყავს ჩაყენებული. მერამდენედ უნდა გახსენებდეთ საუკუნეებგამოვლილ შეგონებას – სადაც არ არის სამართლიანობა, არ არის მშვიდობა.

იხ. 2-3 გვ.

**„ეს მამა-შვილი მელიები საქართველოს ისე უყურებენ, როგორც ხელსატას საქათმეს!..“**



2

## მინდა, ყველას მოვუწოდო, ამ წელს საქართველოში გაატარეთ შვებულება

აჭარის მთავრობას პირველად შეეხვდი და საინტერესო იყო იმ კუთხით, რომ ძალიან ბევრი ახალი საინვესტიციო პროექტებია, – ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა გუშინ განაცხადა.

როგორც სალომე ზურაბიშვილმა თქვა, აჭარაში გარკვეული პრობლემები შეიქმნა ტურიზმის კუთხით, თუმცა რეალურად არ შემცირებულა ის მზარდი ტურიზმი, რომელიც რეგიონისთვის უაღრესად მნიშვნელოვანია.

„კიდევ ერთხელ მინდა, ვისარგებლო ამ შემთხვევით და ყველას მოვუწოდო, ამ წელს საქართველოში გაატარეთ შვებულება. ამ განცხადებას გადაკეთებ ძალიან მალე, მომავალ კვირას,



როცა ჩამოვალ ბათუმში, სადაც მნიშვნელოვანი კონფერენცია გველოდება. ევროპასთან პარტნიორობის მეათე წელია, სადაც ჩამოვლენ ჩვენი პარტნიორები, ეს იქნება კიდევ ერთი ეტაპი საქართველოს დაახლოებისა ევროკავშირთან“, – განაცხადა სალომე ზურაბიშვილმა.

## „ქართველი ებრაელი“ – ჩვენი სიამაყე



**ჯეკალ აჯიაშვილის როსტომ ჩხეიძისეული პროტრატი**

6

## ტურისტებს საჩუქრად... ქართული ღვინო

ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია ახალი კამპანიის დაწყებას გეგმავს, რომლის მიხედვითაც, საქართველოში ჩამოსულ ტურისტებს მესაზღვრეები ქართული ღვინით დაასაჩუქრებენ.

ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია კამპანიისთვის 300 000 ბოთლ ბრენდირებულ

სასაჩუქრე ღვინოს შეისყიდის, რომელზეც დატანილი იქნება სპეციალური ეტიკეტი. შესაბამისი ელექტრონული ტენდერი გუშინ დასრულდა, შესყიდვის სავარაუდო ღირებულება ერთი მილიონი ლარი იყო. გამოვლენილია პრეტენდენტიც, მიმდინარეობს დოკუმენტაციის გადამოწმება.

სასაჩუქრე ღვინო უნდა იყოს ნითელი, მშრალი, 100 პროცენტით საფერავის ჯიშის ყურძნისგან დამზადებული. ღვინოები თურისტები თბილისში, ქუთაისისა და ბათუმის საერთაშორისო აეროპორტებში დასაჩუქრებდნენ. როგორც საქართველოს პირველ არხს ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციაში განუმარტეს, ახალი მარკეტინგული კამპანიის მიზანია საქართველოსა და ქართული ღვინოს პოპულარიზაცია, რაც ტურისტების მოზიდვას შეუწყობს ხელს.





# „ჩვენთვის, როგორც პელაას ქვეყნისთვის, საპატივითი ტურიზმი კალიან მნიშვნელოვანია“

საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა ბათუმში საქართველოს სტომატოლოგთა მე-15 საერთაშორისო კონგრესი, სტომატოლოგ ქალთა მსოფლიო ფორუმი გახსნა.

სალომე ზურაბიშვილი მიესალმა კონფერენციის მონაწილეებს, წარმატებული მუშაობა უსურვა მათ და იმედი გამოთქვა, რომ კონფერენცია დაეხმარება მის მონაწილეებს, უფრო დიდ პროგრესს მიაღწიონ ქალთა და ბავშვთა ჯანმრთელობის რეაბილიტაციისა და დაცვის მიმართულებით.

„ქალიან მნიშვნელოვანია, რომ ასეთი მასშტაბის ფორუმი ეძღვნება ქალთა საკითხებს. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული გამოწვევების დაძლევა მნიშვნელოვანია ჩვენი მომავლისათვის და ჩვენ როგორც ქალები, კიდევ უფრო ვზრუნავთ ჩვენს მომავალ თაობაზე, რადგან ვართ დედები და ეს ჩვენი პასუხისმგებლობაა. მადლობას მოვახსენებ სტომატოლოგთა მსოფლიო ფედერაციის ქალთა საერთაშორისო ორგანიზაციას, რომლის მხარდაჭერითაც ბათუმში ეს ფორუმი ტარდება. ესეც ქალიან მნიშვნელოვანია საქართველოსთვის, რადგან ტურიზმი ჩვენი ქვეყნის პრიორიტეტი და ტურიზმის ისეთი მიმართულებებია, როგორცაა საკონფერენციო და სამედიცინო ტურიზმი, უმნიშვნელოვანესია ჩვენი ქვეყნისთვის, რადგან სამედიცინო ტურიზმი საქართველოსთვის, როგორც მედებს ქვეყნისათვის, ისტორიული ხასიათისაა. უნდა განვაერთოთ სამედიცინო ტურიზმი და რეგიონებში ჩვენი კურორტები, რომლებიც ქალიან მრავლად გვაქვს. ეს საქართველოსათვის ქალიან დიდი პოტენციალია. ამ კუთხით, ასეთი მასშტაბური კონფერენციის ჩატარება ქალიან სერიოზული წინგადადგმული ნაბიჯია. მნიშვნელოვანია, რომ დღეს აქ თავმოყრილია უამრავი ქალი, რადგან დღეს ლიდერი ქალები უფრო და უფრო ძლიერდებიან“, – განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა.

სალომე ზურაბიშვილი ევროკომისიის პრეზიდენტად გერმანიის თავდაცვის მინისტრის ურსულა ფონ დერ ლაიენის წარდგენასაც გამოეხმაურა.

„არ შემიძლია, არ აღვნიშნო, რომ ევროკომისიის პრეზიდენტად წარდგენილია ქალი, გერმანიის თავდაცვის მინისტრი და დიდი იმედი მაქვს, რომ ევროპარლამენტი აირჩევს მას, ასევე ევროპის ცენტრალური ბანკის პრეზიდენტად სავალუტო ფონდის ყოფილი თავმჯდომარე. ეს ყველაფერი დიდი წინსვლაა მათთვის, ვინც ვფიქრობთ ქალების ჯანმრთელობასა და ქალების როლზე ჯანდაცვის პოლიტიკაში. ჩვენ ერთად დავსაქმებთ გავაკეთებთ“, – აღნიშნა საქართველოს პრეზიდენტმა კონფერენციაზე.

# საქართველოს მესნიერებათა ეროვნული აკადემიის განცხადება



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია აქვეყნებს იმ პირთა სიას, რომლებიც აკადემიკოსობის კანდიდატურად წამოაყენეს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრებმა და სახელმწიფო უმაღლესმა სასწავლებლებმა:

## საინჟინრო მესნიერებათა და ინფორმაციული ტექნოლოგიების განყოფილება

კანდიდატის გვარი, სახელი	სპეციალობა, ვაკანსია
	მართვის სისტემები 2 ერთი ვაკანსია
1. ჯუმბერ დოჭვირი	
2. თეიმურაზ ცაბაძე	
3. რამაზ ხურთაძე	

## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

### © სარედაქციო ფოსტიდან

# „ეს მამა-შვილი პელიაბი საქართველოს ისე უყურებენ, როგორც ხელსატაც საქათმეს!“



პი, ბატონო, ცოტას როდი აქვს ცეცხლსასროლი იარაღის ფლობის ოფიციალური უფლება. ესე იგი, რა გამოდის? აქაოდა, იარაღი მაქვს და თანაც გამოყენების უფლება, დავდგები და ვინც თვალში არ მომდის, ვინც ჩემს მტრად მიმაჩნია, სულ ერთმანეთზე მივანყობ!

სიტყვა და ტყვია ტყუილუბრალოდ არა ჰგავს ერთმანეთს, თუმცა სიტყვა უფრო „ხარისხიანად“ კლავს! ეს აქსიომა დიდი ხანია, „შეიარაღება“ „ცრუსთავი-2“-ისთვის და, კერძოდ, დიდ ქვაბში რომ არ ეტეოდ და პატარაში ლაღად იყო, იმ გვარამიასთვის, რომელსაც აგერ ახლა, ოთხშაბათს, თავის ცნობილ „აქცენტებში“ მამა-შვილ-შვილიშვილი მელიები სტუმრად ჰყავდა თითქმის მთელი საღამო და, მართალია, მელიურ ენაზე მეტყველებდნენ, მაგრამ, გვარამიას გადაცემის მიზნიდან გამომდინარე, ქართულადაც გასაგები იყო მთავარი აზრი (ჩვენ ასე გავიგეთ, თქვენი არ ვიცით): რაც უფრო მეტი გულით დაავადებული ეყოლება საქართველოს, მით უფრო მეტი შემოსავალი ექნება პროფესორ მელიას „გულს“ (პოლიტიკასთან ერთად ბიზნესი – ბიზნესია, გენაცვალე!), ამ გულით დაავადებულთა სიმრავლე კი დამოკიდებულია დიდ პოლიტოლოგ მელიას (გრძელისა,

კუდას) პატარა მელიაზე, ანუ ნიკანდროზე, რომელიც „პოლიტიკური ინფექციონისტი“ სააკაშვილის დავალებით გულყრით აავადებს ხალხს (შვილიშვილი ანზორიკო მელია, როგორც ჩანს, კუნდი (მეგრელები გაიგებენ!) ბიძია გვარამიას მფარველობით ჯერ სტაჟიორობას გადის ბოლოს და ბოლოს, უკვე თვითონ სტრასბურგიდან შერისხული „ცრუსთავი-2“-ის ლამის ბნელ სტუდიაში).

ეს ჩემი ხუმრობანარევი აზრი იყო, მაგრამ „აქცენტების“ მაცქერალთა შორის ერთი ჩემი ოხუნჯი მეგობარიც იყო და იმან მგონი, ჩემეულ „სამელიო შეფასებას“ ბევრად გადააჭარბა. ბარემ პირდაპირ მოვიყვან იმის სიტყვებს: მელიების ამ სამსაათიანი ყუყუნის შემდეგ ზუსტად ასეთი აზრი შემექმნა: ეს მამა-შვილი მელიები, პროფესორი ანზორი და პოლიტოლოგი ნიკანდრო საქართველოს ისე უყურებენ, როგორც ახალ-ახალი ქათმის ხორცის დაჭირვებისამებრ ხელსატაც საქათმეს!

ამას ყველაფერს გამოცდელად გწერთ, აბა, ვნახოთ ერთი, მართლა აფასებთ თუ არა მართალ სიტყვას, თუნდაც ოხუნჯურად ნათქვამს.

არისტო სპინტლაძე, გონდო კრუსია.

(პირველი გვერდიდან) ბატონო პიკინა! გადავწყვიტე, ახალი ციკლი დავიწყო წერილით, რომლის ძირითადი ნაწილიც, ბოლო შვიდ წელიწადში, სხუთჯერ მაინც მექნება გამოქვეყნებული (ვიტარების შესაბამისად, მხოლოდ წინასიტყვაობასა და ბოლოსიტყვაობაში შემაქვს ხოლმე კორექტივები). სამწუხაროდ, წერილის შინაარსი აქტუალობას არ კარგავს აგერ უკვე თერთმეტი წელია და არც დაკარგავს, სანამ ყველა კითხვას დამაჯერებელი პასუხები არ გაეცემა.

2008 წლის აგვისტოს ენ. მოვლენებიდან თერთმეტი(!) წელი გავიდა, ძიების საქმე კი ადგილიდან არ იძვრის. არც პოლიტიკური შეფასება გაკეთებულა, რომ სამართალმა ნაწილობრივ მაინც იზეიმოს. ის, რომ საერთაშორისო ინსტიტუტებმა მიიღო გამოძიების ჩატარების გადაწყვეტილება და ამისთვის პასუხისმგებელი პირიც შეარჩია (პროკურორი ფატუ ბენსუდა), ოდნავადაც არ იძლევა დამშვიდების საშუალებას. უბრალოდ, არ მჯერა, რომ გამოძიება იქნება დროული და სამართლიანი, თუ საქართველოს ხელისუფლება პარალელურ რეჟიმში არ იმუშავებს იმავე მიმართულებით.

არ მჯერა, რომ საერთაშორისო გამოძიება იქნება დროული და სამართლიანი, რადგან ადამიანობის წინააღმდეგ ჩადენილ ამ უმძიმეს დანაშაულში მთავარი დამნაშავეა რუსეთი, რომლის მიმართაც „იქ“, როგორც წესი, გადაწყვეტილებები მიიღება ხოლმე პოლიტიკური ინტერესებიდან, უფრო ზუსტად, პოლიტიკური მიზანშეწონილობიდან გამომდინარე, ხოლო მეორე სავარაუდო დამნაშავეა საქართველოს მაშინდელი ხელისუფლება, რომლის პირველი პირიც, მრავალ დანაშაულში მხილებული და საერთაშორისო ძებნაში გადაცემული მიხეილ სააკაშვილი, მის ძველ ლოზოსტებს, „საერთაშორისო სამართლის“ ცხვირწინ, წლებია საიმედო თავშესაფარში ჰყავთ გახიზნული, კაცმა არ იცის, ძველი „დამსახურებებისთვის“, თუ ახალი მძიმე სცენარიების განსახორციელებლად.

საუკუნეების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ჩვენ განსაკუთრებულ სიმძიმეს სხვა არ განსაკუთრებს და მაინც, პირველადი უღარაღოვანი გაიხსნის კითხვა: რატომ არ ხდება 2008 წლის აპრილისთვის მოვლენების გამოძიება? მითუმეტეს, როცა საქმის ნახევარზე მეტი უკვე გაკეთებულია ჩვენი პარტნიორების მიერ (ტალიანის კომისიის დასკვნა მაშინ მხედველობაში). ნაცვლად იმისა, რომ მრავალ დანაშაულში უკვე მხილებული რეჟიმი „კადელთან ჰგავდეს მიხეილს“, ხელისუფლება, კვლავაც გავიშორება, თვითონ იყენებს თავს თავის მართლების რეჟიმში.

მივყვეთ ქრონოლოგიას და მხოლოდ შიშველი ფაქტებით ვილაპარაკოთ: პროცესი 2004 წლის 6 მაისიდან იღებს დასაბამს. თერთ ცხენზე მჯდარმა (თუ დასმულმა) სააკაშვილმა მთელი მსოფლიოს გასაგონად ბათუმიდან „დააანონსა“, რომ სექტემბერში ცხინვალში შევიდოდა, ხოლო 23 ნოემბრის გიორგობას სოხუმში აღნიშნავდა. ამის შემდეგ დაიწყო (სალი აზრის პოზიციებიდან სრულიად უაზრო) თანმიმდევრულ აქტივობათა სერიალი, რაც მთლიანად 8 აგვისტოს შემზადებას ემსახურებოდა, სწორედ იმ დასასრულით, რა შედეგიც მივიღეთ:

პირველი იყო ერგენტის ბაზრობის, ქართულ-ოსური თანაცხოვრების ერთგვარი ხიდის, გაუქმება, რასაც მოჰყვა (მთელი ზაფხულის განმავლობაში) პროვოკაციათა ჯაჭვი – ავანტიურისტული, უგუნური გამოსდომები, იარაღის უღარუნის თანხლებითა და მძიმე შედეგებით. ამ ყველაფერს სამარცხვინო და საბედისწერო ფინალი ჰქონდა: ყველას მწარედ გვახსოვს, მტრის წინაშე მუხლებზე დაჩოქილი ქართულნიფორმიანი რამდენიმე ათეული ახალგაზრდა და კვლავ მტრობაში გადაზრდილი, რის ვაი-ვაგლახით აწყობილი ყოფილი კავშირთაერთობები.

შემდეგ, კოდორის ხეობისთვის (დალის ხეობისთვის) ახალი სახელის – ზემო აფხაზეთის(?) დარქმევა და ცხინვალის რეგიონისთვის (სამაჩაბლოსთვის) ძველი, საბჭოთა პერიოდის სახელისა და, ფაქტობრივად, საბჭოურივე სტატუსის დაბრუნება;

შემდეგ, კოდორის ხეობაში, ადგილობრივი მცხოვრებლებით დაკომპლექტებული შეიარაღებული რაზმის „მონადირის“ გაუქმება და სამთავრობო ნაწილების შეყვანა (უდიდესი პროვოკაცია, საერთაშორისო მანდატით მოქმედი რუსი სამშვიდობოების პირობებში);

შემდეგ, ენ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიაში, ენ. საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარება, დე ფაქტო ხელისუფლების მიერ ჩატარებული ანალოგიური არჩევნების პარალელურად. ამ აქტით, ნაცხელისუფლების მიერ, ფაქტობრივად, მოხდა როგორც მის მიერვე აღდგენილი ავტონომიური წარმონაქმნის, ისე დე ფაქტო მოქმედი პრეზიდენტის უფლებების (სტატუსების) „გაპარავება“. ამ ყველაფერს მუდმივად ფონად სდევდა ფსევდოაგრესიული რიტორიკა (როგორც წესი, მსგავსი თამაშების ნაწილია და რეალური გეგმის შენიღბვას ემსახურება) როგორც ოსური მხარის, ისე რუსეთის უმაღლესი ხელისუფალის მისამართით.

იმავედროულად, პარალელურ რეჟიმში, ფართოდ ესწრაფა ვარი რუსეთის ეკონომიკურ ინტერესებს. ინტერესიცაა იმდენად მასშტაბურიც, რომ ქართველი ეკონომისტები არ ერიდებიან ისეთი მძაფრი შეფასებების გაკეთებას, როგორცაა – „საქართველოს ეკონომიკის საკონტროლო პაკეტი რუსეთის სახელმწიფოს ხელშია“. მართლაც, კომენტარი ზედმეტია.





მოსვლამდე, ქართულ პოლიტიკაში პროდასავლური, ან პრორუსული არ იყო ღირებულებებითი კატეგორიის ცნებები. ისინი აღნიშნავდნენ ამა თუ იმ პოლიტიკური ორგანიზაციის მზადყოფნას, თავის სამშობლოში ბრმად ემსახურებოდეს აშშ-ის, ან რუსეთის ინტერესების გატარებას. ქვეყნის ბოლშევიკურ-ნაციტური მეთოდებით მმართველი სააკაშვილის პროდასავლურობაზე საუბარი დასავლური ფასეულობების (თავისუფლება, სამართლიანობა, დემოკრატია) შეურაცხყოფაა. სააკაშვილის და მსგავსი მენტალური ნყობის ადამიანებისთვის ყველაფერს პირადი ინტერესი, პირადი ამბიციაც განსაზღვრავს. როცა პირადი ინტერესი და ამბიციაც წინ უსწრებს სახელმწიფო ინტერესებს, ეს ინტერესი და ამბიციაც ავადმყოფურია.

უაღრესად საჭურავლად იმის გარეშობა, რომ მთელი ამ პერიოდის განმავლობაში სააკაშვილს გვირგვინი არ მოუპოვებია ათეული წლების განმავლობაში ჯერ საბჭოთა კავშირის და შემდგომ რუსეთის მაღალი რანგის სახელმწიფო ჩინოვნიკი, ამ ქვეყნის სპეცსამსახურების განსაკუთრებული ნდობით აღჭურვილი პირი, დღემდე რუსეთის მოქალაქე თამაშ ალასანია. საინტერესოა, რომ მისი როლი ოფიციალურად იყო გამყარებული მრჩევლის სტატუსით და

ალაუფლებას სიბილით შეაჩეროილი ადამიანი (აღნიშნული) ხვირ რამეზა წამსვლელი, რაც იმას ნიშნავს, რომ ქლიანი ხელისთვის, რუსული იქნება ეს თუ ამერიკული (ან ორივე ერთად - XXI საუკუნე ორგანიზაციის ხანა), სურვილის შემთხვევაში, ავტომატურად იმის (მათი) გართობა. ამავე კონტექსტში, განსაკუთრებული ადგილი უკავია ფულის თემას. ცნობილია, რომ საპარტიო-ლოს თავდაცვისუნარიანობის გაპლინარებისთვის ჩვენი პარტიონობის მხრიდან გამომყოფილი იყო რამდენიმე მილიარდი დოლარი. კითხვა ამ თანხის

გარდა ამისა, საკმაო საფუძველი არსებობს იმ ვარაუდისთვისაც, რომ ჩვენი ქვეყნისთვის უპირობო შედეგების მომტან „ოპოზი“ დიდი ფული (მილიარდები) გააქვდა.

დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ საერთაშორისო გამოძიება საქმის ამ და მსგავს ასპექტებს ყურადღებას არ დაუთმობს და არც უნდა დაუთმოს. ეს მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი სახელმწიფოს შესაბამისი სამსახურების პრეროგატივაა.

მხოლოდ გულუბრყვილო ამომრჩეველზე შეიძლება იყოს გათვლილი ის ყალბი ისტერიკა, რომ ომზე ყველა სიმატლის თქმამ შეიძლება ზიანი მიაყენოს სახელმწიფო ინტერესს. ყალბია, პირველ რიგში, იმიტომ, რომ რა დანაშაულიც არ უნდა ჩაედინა სააკაშვილს, ეს რუსეთის, როგორც აგრესორის და ოკუპანტის პასუხისმგებლობას ვერ შეამცირებს და მეორე - იმაზე მეტს მაინც ვერ იტყვი, რაც არაერთგზის უკვე თქვეს ტალიავინის კომისიამ, ევროსაბჭოს რეზოლუციამ, კონდოლიზა რაისმა, რიჩარდ მაილსმა და სხვებმა.

ჩემი ღრმა რწმენით, ვისაც ჯერ კიდევ არ სურს, აღიაროს სააკაშვილის პასუხისმგებლობა აგვისტოს ომის შედეგების გამო (თუნდაც ის რად ღირს, რომ სამაჩაბლოს ქართული სოფლებიდან არ მოხდა მოსახლეობის ევაკუაცია), თვითონაც ინანილებს ამ პასუხისმგებლობას, თუნდაც მორალურს და მათაც შესაბამისად უნდა მოეთხოვოთ ამისთვის.

თუ რა სიმიმისაა ეს პასუხისმგებლობა და რა ფასად დაუჯდა ის ქვეყანას, ამაზე ომის შედეგები მტკიცებებს: ას ორმოცდაათეუ მითი დაპარავლი სოფელი; ასეულში დამღუპული სახლბრე და მშვიდობიანი მოქალაქე; ასეულში დანგრეული, გადამწვარი და მიტოვებული სახლი; ათასობით ასალი დევნილი; ასეულში შეურაცხყოფილი (მათ შორის, გაუპატიურებული) ადამიანი; ძირკველ ქართულ მიწაზე ორი ასალი დე ფაქტო სახელმწიფო, მსოფლიოში ერთ-ერთი უპირობო სიბილით საჯარისო შენაერთებით დაცული და გამყარებული...

ბატონო ბიძინა, წერილში წარმოდგენილი სავარაუდო დანაშაულთა ჩამონათვალი, სამართლიანი სასამართლოს პირობაში, აუცილებლად დადსტურდება, რაც, არც მითი არც ნაპლევი, სამშოგლოს დალბატის კვალიფიკაციას იმსახურებს...

რეალობაში კი რა ხდება?... რეალობაში ხდება ის, რომ კოშმობიტაციური მარაზში მარბონში გადანიზარდა და იმ მდგომარეობაში მიიყვანა ჩვენი ნანი-ნანატრი ხელისუფლება, რომ ორგანიზებული დალბატის „შემოქმედთა“ ხროვამ „გაგრილოვის“ სკამში ჩახტეობით (ამ თემაზე ვრცლად შემდეგ წერილში მოგახტენებთ) გადაგინონათ ყველაფერი და ამში მძიმე საზღაურიც გადაგახდევინათ - მოსალოდნელი პრობლემების(!) თავიდან აცილების მიზნით(!), გაიძულათ გაგწირათ ქვეყნის რეალურად მეორე პოლიტიკური ფიგურა (თქვენს შემდეგ), გუნდის ყველაზე ნაყოფიერი და წარმატებული წევრი (ამაზე ჩემს წინა წერილებში ბევრი მაქვს ნათქვამი), პარტიის მთავარ პოლიტიკურ გადაწყვეტილებებსა და ყველაზე არაპოპულარულ რეფორმებზე თქვენთან ერთად პასუხისმგებლობის ღიად თავზე ამლები, ანუ ყველაზე რთულ სიტუაციებში თქვენთვის ზურგის გამამაგრებელი, ერთადერთი(!) პირი.

ბატონო ბიძინა, აი, ეს გახლავთ შეულამაზებული სიმატლე და რეალობა. ყველა პასუ-

# ბიძინას ბიძინასგან

## „არ იქნება სამართლიანობა, არ იქნება მშვიდობა“!

არც ის იყო დამალული, რომ საპარტიო-ლოს მოქალაქე პოლიტიკოსებსა და უფრო მაღალი სტატუსის ჩინოვნიკებსაც მითი გაპლინით სარგებლობდა პრაქტიკულად ყველა. (კომიორბე, თამაშ ალასანია დღესაც რუსეთის ერთ-ერთ მოქალაქედ რჩება და კითხვაც არ უნდა იკავებოდეს, ვის ინტერესებს დაინცავდა რუსეთ-საპარტიო-ლოს გამწვავებული ურთიერთობების პირობაში.)

მიზნობრივ სარგვასთან დაკავშირებით აზვისტოს ომამდეც ხვირად ისმობდა, ხოლო სამარტხვინო კაპიტულაციის შემდეგ მან კიდევ უფრო მახვირი ჰქარავდა შეიქინა. მართლაც, სად იყო ის შეინარაღება და ქართული სარდლობის ის შეინარტება, რომელსაც „ყველა მტერთან გამაქვავება შეუქლია“? (სააკაშვილის სიტყვებით).

2018 წლის სექტემბერში პოლონეთის ხელისუფლებამ მიიღო გადაწყვეტილება, საგარეო საქმეთა სამინისტროდან საბჭოთა კავშირის საერთაშორისო ურთიერთობათა სახელმწიფო ინსტიტუტების კურსდამთავრებულების დათხოვნის შესახებ. ეს არის კიდევ ერთი დასტური იმისა, რომ რუსული სპეცსამსახურების სკოლაგამოვლილების ნდობა ათწლეულების შემდეგაც არ შეიძლება. ძველებურად რომ ვთქვათ - ამ საქმეში „ყოფილები“ არ არსებობენ.



ცნობილი ფაქტია, რომ სხენებული „სკოლის“ აღზრდილია მიხეილ სააკაშვილიც, რომელმაც, დამატებით, გავლენიანი ბიძის „ხელის წაკვრით“, კგბ-ს სასაზღვრო ნაწილებში გაიარა სამხედრო სამსახური.

არახალია, ძველია, რომ ომზე მდიდრდებიან. ისიც არახალია, რომ „ომი ყველაფერს ჩამოწერს“.

აგვისტოს შემზადებაში თავისი მნიშვნელოვანი როლი ჰქონდა „ნაცების“ ერთ-ერთ ლიდერს და საპარტიო-დენტო კანდიდატს, იმ დროს რუსეთის მოქალაქეს გრიგოლ ვაშაძეს, რომელიც სააკაშვილთან ერთად „ომის“ ბოლო წუთებამდე მთელ მსოფლიოს არწმუნებდა, რომ „რუსები კარგად იქცევიან“.

იარალის თემა და მასთან დაკავშირებული მილიარდები შესაბამის უწყებათა კვლევის საგანია. ადვილი შესაძლებელია, რომ მან საერთაშორისო მასშტაბით შეიძინოს, რადგან, როგორც წესი, ასეთ შემთხვევებში წარმონდება ხოლმე ენ. ტრანსეკონომიკური ინტერესები უარყოფით კონტექსტში. შესხენებისთვის, აღნიშნულთან დაკავშირებით არაერთხელ ღიად გაიფლერა თემურ ალასანიას სახელმაც (მხედველობაში მაქვს ირაპლი კაპაბაძის უაღრესად საყურადღებო, მამხილებელი პუბლიცისტური წერილები).

გრიგოლ ვაშაძეც, სააკაშვილის მსგავსად, უშუალოდ კგბ-ს პატრონაჟის ქვეშ მოქმედი, ზემოხსენებული სასწავლო დაწესებულების კადრი გახლავთ, რომელმაც თავისი „შენებული ცხოვრების“ უდიდესი ნაწილი რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ბირთვული შეინარაღების დეპარტამენტში, კგბ-ს პირდაპირი დაზვერვის სახელმწიფო სტრუქტურაში გაატარა, ანუ „მაღალი ნდობის“ პერსონა იყო.

მართი სიტყვით, საკმაო საფუძველი არსებობს იმ ვარაუდისთვის, რომ სააკაშვილმა ნაბიჯ-ნაბიჯ, თანმიმდევრულად შეასრულა რუსეთის ხელისუფლების ყველა დავალება, რასაც, მითი განანტიონისთვის, პუტინის შტაბის დავალებით, მუდმივ კონტროლს უწევდნენ თამაშ ალასანიას, გრიგოლ ვაშაძეს, სანდრა რულოვსი, აბრამოვი კახა ბენდუქიძეს, რომელიც, თავის მხრივ, უარყოფასშტაბიანი აბრამოვის ეკონომიკურ ნაწილზე იყო პასუხისმგებელი.

აგრეთვე, კგბ-ს პატრონაჟს ექვემდებარებოდა რუსეთის გარე აგენტურის ცნობილი სამჭედლო, მოსკოვის პატრის ლუმუმბას სახელობის ინსტიტუტი, რომელსაც უკავშირდება სანდრა რულოვსის ბიოგრაფიის გარკვეული მონაკვეთი.

მართი სიტყვით, საკმაო საფუძველი არსებობს იმ ვარაუდისთვის, რომ სააკაშვილმა ნაბიჯ-ნაბიჯ, თანმიმდევრულად შეასრულა რუსეთის ხელისუფლების ყველა დავალება, რასაც, მითი განანტიონისთვის, პუტინის შტაბის დავალებით, მუდმივ კონტროლს უწევდნენ თამაშ ალასანიას, გრიგოლ ვაშაძეს, სანდრა რულოვსი, აბრამოვი კახა ბენდუქიძეს, რომელიც, თავის მხრივ, უარყოფასშტაბიანი აბრამოვის ეკონომიკურ ნაწილზე იყო პასუხისმგებელი.

ყველაფერი, რაზედაც ზემოთ იყო საუბარი, უტყუარი ფაქტებია. მათ ერთობლიობას და მოვლენათა განვითარების ლოგიკას იმ დასკვნამდე მიყვავართ, რომ გეგმაზომიერად ხორციელდებოდა აგრესორი სახელმწიფოსთვის ჩვენი ტერიტორიების გადაცემის პოლიტიკა.

გუნაბრკვია, პასუს მონიშნავს კითხვა - მავინდელი ხელისუფლებისთვის რა აუცილებლობაა, უფრო სწორად, რა იშულება განაპირობებდა ამ მიმე არჩევანს? „ქართული ოცნების“ პოლიტიკურ ასპარეზზე შე-



ხისმგებლიანი მოქალაქის მოვალეობაა, ხელისუფლებას მოსთხოვოს, ფაქტებს და მოვლენებს დროულად დაარქვას თავისი სახელი, როგორც სამართლებრივი, ისე პოლიტიკური შეფასების თვალსაზრისით.

თავის მხრივ, პასუხისმგებლიანი ხელისუფლება ვალდებულია, სრულად და ამომწურავად უპასუხოს იმ დიდ გამოწვევას, რასაც სამართლიანობის აღდგენა ჰქვია. სხვა-ნაირად, ქვეყანაში გამეფებული მართვადი ქაოსი არ დასრულდება და ღირსეული, ანუ „საოცნებო“ სახელმწიფოს შენების პროცესი გარდაუვალ ჩიხში მოექცევა, რადგან - სადაც არ არის სამართლიანობა - არ არის მშვიდობა!!!

ბიძინა დვალი, 04.07.2019



8 ივლისს ბოლო თვითმფრინავი გაფრინდება თბილისიდან მოსკოვში. ამით ორ ქვეყანას შორის პირდაპირი ფრენა განუსაზღვრელი დროით შეჩერდება. გადაწყვეტილება რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა მიიღო, 20 ივნისს საქართველოს პარლამენტიდან დუმის კომუნისტი დეპუტატის სერგეი გავრილოვის გაძევების შემდეგ.

ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ინფორმაციით რუსეთ-საქართველოს შორის დღემდე 15-მდე პირდაპირი ავიარეისი სრულდება და. გასული წლის მონაცემებით ამ შესაძლებლობით ყოველთვიურად 40,000 მგზავრი სარგებლობდა.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ განგარიშებით, თუ დაეუშვებოდა ყველაზე რადიკალურ სცენარს, რომ ივლისიდან საქართველოში რუსი ვიზიტორი საერთოდ აღარ შემოვა, 2019 წელს ვიზიტორების რაოდენობა დაახლოებით 8 მილიონი იქნება, რაც 2017 წლის მაჩვენებელზე მეტია.

● მგზავრების 70% საქართველოში რუსეთიდან სახმელეთო ტრანსპორტით შემოდის, 29% კი საჰაეროთი;

● 2017 წელს ერთმა რუსმა ვიზიტორმა საშუალოდ 984 ლარი (400 დოლარი) დახარჯა საქართველოში;

● პირდაპირი საჰაერო მიმოსვლის შეჩერება, თუ ტურისტთა ნაკადები სხვა გზებს არ მიმართავენ, 2019 წელს საქართველოს შემოსავალს ტურიზმიდან დაახლოებით 100 მლნ დოლარით შეამცირებს;

● რუსეთიდან საქართველოში 2019 წელს 2 მილიონ ტურისტს ელოდნენ. საუკეთესო შემთხვევაში ადმინისტრაციაში ვარაუდობენ, რომ 1 მილიონი ტურისტი მინც შემოვა;

● გასულ წელს საქართველოში ყველაზე მეტი ტურისტი აზერბაიჯანიდან, სომხეთიდან და რუსეთიდან შემოვიდა.

ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მონაცემებით. წელს ივნისში საქართველოში შემოვიდა თითქმის 480 ათასი ტურისტი, რაც წინა წლის ამ თვის მაჩვენებელზე 18%-ით მეტია.

\* \* \*

ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის წინასწარი მონაცემებით 2019 წლის იანვარი-მაისის მონაცემებით შემოსავალი საერთაშორისო მოგზაურობიდან საქართველოში შეადგენს 1.1 მილიარდ დოლარს (ზრდა +9.8%), რაც 101 მილიონით მეტია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე.

● 2019 წლის მაისის მონაცემებით შემოსავალი საერთაშორისო მოგზაურობიდან საქართველოში შეადგენს 281 მილიონ დოლარს (ზრდა +14.2%), რაც 35 მილიონით მეტია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე.

● 2019 წლის I კვარტალში შემოსავალი საერთაშორისო მოგზაურობიდან საქართველოში შეადგენს 578 მილიონ დოლარს (ზრდა +5%), რაც 28 მილიონით მეტია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე.

● ტურიზმის წილი მთლიან შიდა პროდუქტში 2019 წლის I კვარტლის მონაცემებით, შეადგენს 7.1%-ს. ზრდა წინა წელთან შედარებით +14.9%-ია.

რა მოხდება თუ რუსი ტურისტები საქართველოში აღარ ჩამოვლენ?

ტურიზმის სფეროს სპეციალისტები ამ ალბათობას არ უშვებენ. ისინი ხელმძღვანელობენ მონაცემით, რომელიც ავიარეისებითა და სახმელეთო საზღვრით მოსარგებლეს ტურისტებს ითვლის – სახმელეთო 70%, პირდაპირი საჰაერო 29%. რუსეთიდან ტურისტების ნაკადი რომც განახევრდეს, ეს ხანმოკლე რყევა იქნება, რომელიც საბოლოო ჯამში ტურიზმის სფეროს

გააჯანსაღებს – ამბობს ტურიზმის ექსპერტი, „ჰელისკი ჯორჯიას“ დამფუძნებელი დირექტორი ვატო ასათაშვილი.

„ეს პროცესი ჩვენ ნაგავდება, რადგან დაგინახავთ, რომ რუსულ ტურიზმზე ჩამოვიდეთ არ შეიძლება. პოლიტიკას, რომელსაც ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია აწარმოებდა და უამრავ ფულს ხარჯავდა რუსი ტურისტების მოზიდვაში, იყო არასწორი. (რუსეთი) როცა უნდა, ამ ბაზარს ჩაკეტავს და ამით სერიოზულ ზიანს მოგვაყენებს“,

ტინე ანჯაფარიძის სიტყვებით, უკანასკნელი 10 დღის განმავლობაში ტურისტების ნაკადი 30%-ით შემცირდა.

„უახლოესი რამდენიმე თვე ძალიან პრობლემური იქნება, ეს რომ ნთვის წინათ მომხდარიყო, რაღაცების გადაწყობა მოესწობოდა, მაგრამ ახლა უკვე ყველას დაგეგმილი აქვს თავისი ზაფხული და რაიმე სერიოზული ზრდის მიღწევა სხვა ქვეყნების სარჯზე წარმოუდგენლად მიმაჩნია, ახლა რეალურად უნდა შევფასოთ მოცემულობა და დავიწყოთ გამოსავ-

ველოს საიმიჯო ვიდეორგოლი გაუშვა მიზნობრივ ქვეყნებში (უკრაინა, ბელარუსი, ყაზახეთი, ლიეტუვა, ლატვია, ესტონეთი, პოლონეთი, ჩეხეთი, გერმანია, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, ჰოლანდია, ისრაელი, სპარსეთის ყურის ქვეყნები, აზერბაიჯანი, უზბეკეთი, საქართველო).

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი მარიამ ქვიციანი ამბობს, რომ მათ მუდმივი კონტაქტი აქვთ ტურიზმის სფეროში მომუშავე კომპანიებთან და მათთან ერთად

რად უნდა მოხდეს, რომ ეს არის უსაფრთხო ქვეყნა და არა ის, რომ რუსების და პუტინის ჯიბრზე აქ ჩამოვლით. ყველას სურს, ოჯახის წევრებთან ერთად მშვიდად დაისვენოს. არავინ მიდის დასასვენებლად პუტინის ჯიბრით“, – ამბობს wehost.ge-ს საოპერაციო დირექტორი კონსტანტინე ანჯაფარიძე.

ტურიზმის სფეროს ექსპერტი ვატო ასათაშვილი ამბობს, რომ ქვეყნის ტურისტული პოტენციალის რეკლამირება საზღვარგარეთ, 2006 წლიდან მოყოლებული, ინერციით მიდის.

„მუშაობა უნდა წარიმართოს აღმოსავლეთ ევროპის, ახლო აღმოსავლეთისა და შუა აზიის ქვეყნების მიმართულებით, საჭიროა წარმომადგენლობების გახსნა საზღვარგარეთ, რაზეც დაახლოებით 5 წელია, მიდის საუბარი. საუბარი იყო საელჩოებში ბიზნესატაშეების დანიშვნაზე, ასევე შესაძლებელია მცირე მარკეტინგული კომპანიების გაგზავნა კონკრეტულ ქვეყნებში სეზონის დასაწყისში“, – აცხადებს ვატო ასათაშვილი.

\* \* \*

საერთაშორისო დაბალბიუჯეტური საჰაერო რეისების გაზრდის მიზნით „ევროპული საქართველო“ ხელისუფლებას მოუწოდებს ხელი მოაწეროს ავიაკომპანია ryan air-თან კონტრაქტს, ასევე დააჩქაროს ქუთაისის აეროპორტის ტერმინალის გაფართოება, რომელსაც პარტიის წარმომადგენლის გიორგი კანდელაკის განცხადებით ერთწლიანი ჩამორჩენა აქვს, რის გამოც უნგრული ავიაკომპანია wizzair არ ამატებს რეისებს.

26 ივნისს ეკონომიკის მინისტრმა ნათია თურნავამ განაცხადა, რომ დასრულდა მოლაპარაკებები wizzair-თან და 12 ავიაიმპორტულელებით იფრენს შემდეგ ქალაქებში – ფრანკფურტი, ჰამბურგი, ბადენ-ბადენი, პოზნანი, ვენეცია, ნეაპოლი, ნიცა, პიზა, სტოკჰოლმი, ნიურნბერგი, ჰერაკლიონი, ტურკუ.

ეკონომიკის მინისტრის განცხადებით, ქუთაისის აეროპორტიდან შვიდი ახალი ავიაიმპორტულელებით პირდაპირი ფრენები წლის ბოლომდე დაიწყება, დანარჩენი მიმართულებებით რეისები კი 2020 წლის ზაფხულიდან შესრულდება.

რაც შეეხება ირლანდიურ კომპანია ryan air-თან მოლაპარაკებას. 28 ივნისს ეკონომიკის მინისტრმა ნათია თურნავამ იმედი გამოთქვა, რომ წლის ბოლომდე კომპანიასთან მოლაპარაკებები დასრულდება და პირველი თვითმფრინავი ევროპიდან 2020 წელს ჩამოფრინდება.

ნიკო სარაძე



# ტურისტული კრიზისის სარბიბული

– ამბობს ვატო ასათაშვილი, რომელიც ფიქრობს, რომ რუსეთი ტურიზმსაც პოლიტიკური მიზნების მისაღწევად იყენებს.

რუსეთიდან 600 ათასი ადამიანი უკვე შემოსულია, წლის ბოლოსთვის ეს რიცხვი, სავარაუდოდ, 1 მილიონამდე ავა. ეს ნიშნავს, რომ წინა წელთან შედარებით რუსეთიდან ნაკადის შემცირების გამო გვექნება 35% კლება, რაც საერთო სტატისტიკაში აისახება როგორც 10-15 %-იანი კლება, რაც „ეკონომიკას ისე არ დააზარალებს, რომ გამკლავება ვერ მოვახერხოთ“.

ამ მიდგომას ამყარებს სტატისტიკური მონაცემები, რომელიც მონიშნავს, რომ ტურისტების ნაკადი გაზრდილია როგორც ევროპიდან, ასევე აზიიდან. თანაც ამ რეგიონებიდან ჩამოსული ტურისტები ბევრად მეტს ხარჯავენ, ვიდრე მას-ტურიზმზე ორიენტირებული ნაკადი რუსეთიდან.

ევროკავშირის ქვეყნებიდან შემოსული ტურისტების რაოდენობის ზრდა წინა წელთან შედარებით

- ავსტრია +71%
  - გერმანია +67.7%
  - გაერთიანებული სამეფო +34.9%
  - ლატვია +30.2%
  - ნიდერლანდები +25.7%
- აზიის ქვეყნებიდან შემოსული ტურისტების რაოდენობის ზრდა წინა წელთან შედარებით
- საუდის არაბეთი +127.7%
  - იორდანია +91.4%
  - ყაზახეთი +78.4%
  - ჩინეთი +52.9%
  - კორეა +48%
  - თურქეთი +45.8%

\* \* \*

კომპანია wehost.ge ამჟამად 180 კლიენტი ყავს. ეს შუამავალი ფირმა კერძო პირების ბიზნეს სხვადასხვა საერთაშორისო პლატფორმებზე ათავსებს და აქირავებს, ასევე მას-პინდლობს ტურისტებსაც. კომპანიის საოპერაციო დირექტორი კონსტანტინე ანჯაფარიძე ამბობს, რომ wehost.ge უკვე გადაერთო ევროპულ და აზიურ ბაზრებზე. ახლა ისინი ცდილობენ ჩინელ, კორეულ და იაპონელ ტურისტებს მისწვდნენ.

კომპანია მართვის ქვეშ მყოფ 180 ბინაში საშუალოდ 2000-2500 ტურისტს მასპინძლობს. კონსტან-

ლის ძიება. იმ დანაკლის, რაც ახლა მივიღებ 2-3 თვეში ვერ შევასებთ“.

„კერძო სექტორი არ უნდა აპყვეს პანიკას, აი, დაიკვტა რუსეთის ბაზარი და გამოსავალი აღარ გვექნება. უნდა გვესმოდეს, რომ რუსეთის ბაზარი გარკვეული ნაწილისთვის იყო მომგებიანი, მაგრამ უნდა გააცნობიერონ, რომ ეს არის მდგრადი ბაზარი“, – ვატო ასათაშვილი.

მისი თქმით, იმ ტურისტულ კომპანიებს, რომლებიც აქამდე რუსეთიდან შემოსულ ტურისტებზე იყვნენ დამოკიდებული, მოუწევთ, აქცენტი გააკეთონ რუსულენოვანი ქვეყნების, მაგალითად უკრაინასა და ბელარუსის და შუა აზიის ქვეყნების ბაზრებზე, რაც საკმაოდ დიდი, მაგრამ აუთვისებელი ბაზარია.

\* \* \*

„წლის ბოლომდე ევროპული ტურისტებით ჩანაცვლებაზე საუბარი იქნება მიამიტობა, ვინაიდან ევროპული ტურისტი 1 დღით ადრე არ გვემავს ვიზიტს. ჩვენ არ უნდა ვისაუბროთ ტურისტების ჩანაცვლებაზე, არამედ ტურისტების ზრდაზე“ – ამბობს ეკონომიკის მინისტრი ნათია თურნავა.

ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ დაიწყო კამპანია „გაატარე შენი ზაფხული საქართველოში“. ადმინისტრაციამ საქართველოში

## ქართული ღვინო „შავი სიის“ შექმნა

რუსეთის ფედერალური სამსახურის „როსპროტრენბანდორის“ მიერ ქართულ ღვინოზე კონტროლის გამკაცრებასთან დაკავშირებით გავრცელებული განცხადების შემდეგ თითქმის ორი კვირა გავიდა. რა შეიცვალა იმ 8 კომპანიის საქმიანობაში, რომლებიც „როსპროტრენბანდორის“ სანქციების სიაში მოხვდა, დაუბრუნდათ თუ არა რუსეთში დაუნებული პროდუქტი და აპირებენ თუ არა ბიზნესის გაგრძელებას რუსულ ბაზარზე.

„კომერსანტი“ დაუკავშირდა „შავ სიაში“ დასახელებულ ყველა კომპანიას – „ბაგრატიონი 1882-ს; „ბოლერო ენდ კომპანის“, „კახეთის ტრადიციული მეღვინეობა“, „ბადაგონს“, „ქართული ღვინის სახლს“, კორპორაცია „ქართული ღვინის“, „ქართული ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების კომპანიას“ და „ბატონოს“, თუმცა ამ თემაზე საუბარი კომპანიების წარმომადგენლობის უმეტესობამ არ ისურვა, მეორე ნაწილი კი მცირე კომენტარით შემო-

ივარგლა. ისინი ირწმუნებიან, რომ მდგომარეობა არ შეცვლილა და მათი წარმოებული ღვინო რუსულ ბაზარზე კვლავ რჩება. მეტიც, მათი თქმით, „როსპროტრენბანდორიდან“ არანაირი ოფიციალური შეწყობინება არ მისვლიათ.

გია შენგელია „ბადაგონის“ დირექტორი – „ჩვენ არანაირი პრობლემა არ შეგვექმნია, ჩვეულებრივად ვაგზავნი რუსეთში ღვინოს. არანაირი პრობლემა არ გვაქვს არც ერთი წლით და არც ერთი წუთით. ჩვეულებრივად ვაგრძელებთ მუშაობას და ვანბაჟებთ მანქანებს.“

ბაგრატიონი 1882-ის მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი წერეთელი – „ჩვენ რაც პარტიებით გვაქვს გაგზავნილი რუსეთში ყველა რეალიზაციაშია, არაფერი მოგვბრუნებია და შესაბამისად, ხარისხთან დაკავშირებითაც არანაირი პრობლემა არ გვაქვს.“

მარიამ მორაგოზია




ქიულო

# ბატაშის რჩეულები

ამერიკულ ფორტ ვეინში (ინდიანა) გამართული გრან პრი წარმატებული აღმოჩნდა საქართველოს პარაოლიმპიკთა ნაკრებისთვის: კვარცხლბუკის უმაღლეს საფეხურზე ზვიად გოგოჭური (100 კგ.) და რევაზ ჩიკოიძე (+100 კგ.) ავიდნენ, გიორგი გამჯაშვილი (66 კგ.) კი „ბრინჯაოს“ დაეუფლა.

გოგოჭურმა საჩემპიონო გზაზე თურქ, ბრა-



ზილიელ და ბრიტანელ მეტოქეებს აჯობა, ჩიკოიძემ კი ჩინელი, ბრიტანელი და სამხრეთკორეული პარაოლიმპიკები დაჯაბნა. თავის მხრივ, გამჯაშვილმა უკან არგენტინელი და ამერიკელი სპორტსმენები მოიტოვა, ნახევარფინალი ესპანელთან დათმო და რეპეშაჟშიც ესპანელს აჯობა.

ფორტ ვეინში ტატამზე ბაჩუკი შელია (73 კგ.), ტარიელ უძილაური (81 კგ.) და ავთანდილ კორკიტაძე (90 კგ.) გავიდნენ, თუმცა, ისინი უმეღლოდ დარჩნენ.

ვთქვათ ისიც, რომ აშშ-ში გამართული გრან პრი 2020 წლის ტოკიოს პარაოლიმპიური თამაშების საერთაშორისო საკვალიფიკაციო ტურნირის ეგიდით ჩატარდა.

მანუშარ გიორგაძე

უნივერსიადა - 2019

# „პერსხლის“ სტარტი

ახალგაზრდებში მსოფლიოს ჩემპიონ ლაშა ბეჭაურის მოპოვებული „ვერცხლით“ დაინყეს გაოსვლა ქართველმა ძიუდოსტებმა ნეაპოლში, სადაც 30-ე საზაფხულო უნივერსიადა მიმდინარეობს 55 ქვეყნის წარმომადგენელთა მონაწილეობით.

ფინალამდე 90 კილოში მოასპარეზე ჩვენმა თანამემამულემ ზედიზედ 4 ბრძოლა მოიგო იპონით მონღოლ, ფრანგ, მოლდოველ და თურქ მეტოქეებთან, მაგრამ სატიტულო ბრძოლაში ბავშვური შეცდომით დამარცხდა ავსტრიელ თანატოლ იოჰანეს პახერთან.

ტატამის ოსტატთა ტურნირი როგორც ბიჭებში, ისე გოგონებში 5-5 წონაში ტარდება და ჩვენ სრული გუნდი მხოლოდ ბიჭებში გვყავს. საპატიო კვარცხლბ-

ეკზე ასვლასთან ახლოს იყო ხმლით მოფარიკავე მიხეილ მარდალეიშვილიც.

მან ჯგუფში ექვსივე ბრძოლა მოიგო ყაზახ, ტაილანდელ, ჩილეელ, მექსიკელ, პორტუგალიელ და ინდოელ მუშკეტერებთან, შემდეგ პლეი-ოფშიც წარმატებით გაუსწორდა უნგრელ და ბელარუს მეტოქეებს, მაგრამ მეოთხედფინალი საბედისწერო ერთი ჩხვლეტით დათმო რუმინელ რაზვან ურსაჩთან და საბოლოოდ მე-5 ადგილი დაიკავა.

უნივერსიადა იტალიაში 14 ივლისამდე გასტანს. **გიორგი შოთაძე**



როგაზურთი

# ზაბეზას, ღინსკლას

ნიკოლოზ ბასილაშვილისთვის წლებანდელი უიმბლდონი ბრიტანელ დანიელ ევანსთან კარიერაში პირველი შებმითა და ორსათანახვერანა უთანასწორო ბრძოლის წაგებით დასრულდა - 3:6, 2:6, 6:7.

კორტის მასპინძელმა ამ სეზონში ბალახზე მე-13 შეხვედრა მოიგო, თანაც აღნიშნულ საფარზე ჩელენჯერის ტურნირებზე გაიმარჯვა სარბიტონსა და ნოტინგემში, ხოლო ისტბურნში მეოთხედფინალამდე მიაღწია.



ჩვენს თანამემამულეს მსოფლიოს 61-ე ჩოგანთან მისთვის უჩვეულოდ უარყოფითი სტატისტიკა ჰქონდა: პირველი მოწოდებით ქულების 59 პროცენტი მოიპოვა, მეორით კი - 44 პროცენტი. გარდა ამისა, 48 უნებლიე შეცდომა დაუშვა და მეტოქეს 16 ბრეიკ-პოინტის შანსი მისცა.

მიუხედავად ასეთი დასანანი ფინიშისა, ნიკამ მეორე წრეში გასვლით 35 სარეიტინგო ქულა შეიმატა და „ლაივ კლასიფიკაციაში“ სარეკორდო მე-15 პოზიციაზეა.

**ვიტალი ჯაფარიძე**

თაოჯა



# კვლავ ნინო სომეჩიკი

მკრძპის მრავალგზის ჩემპიონმა თანატოლებს შორის ნინო სომეჩიკმა (2393) მორიგ საერთაშორისო ტურნირში ისახელა თავი.

თურქეთში გამართულ შეჯიბრზე (MENTESE WGM CHESS TOURNAMENT) გამარჯვების შემდეგ, სადაც ნინომ 10-ვე (!) პარტია მოიგო, ნორჩი ქართველი მოჭადრაკე აშშ-ში გაემგზავრა და ფილადელფიის ტრადიციულ ტურნირში (World Open 2019-Women's Championship) აჯობა ყველას.

**ზადრი იაშვილი**

სუმო

# სტიმული ნაბოიას ბაშოს წინ

ხვალ შოთა ენდოსთან ბრძოლით ტოჩინოშინი ნაბოიას ბაშოს ინყებს, ხოლო მეორე შეხვედრას შოდაისთან გამართავს.

მართალია, ახალ ტურნირს ლევან გორგაძე ერთ-ერთ ვარჯიშზე მიღებული მხრის ტრავმით ეგებება, მაგრამ არის დადებითი შტრიხიც - კერძოდ, ტოკიოში ქართველი სუმოისტის ქანდაკება გაიხსნა: იგი სკამზე ზის და, როგორც სექტემბერში იაპონიაში დაგეგმილი მსოფლიოს სარაგბო თასის ერთ-ერთ ელჩს, ხელში ოვალური ბურთი უჭირავს.

ახლა კი გთავაზობთ ამონარიდს იქაურ გამოცემა „ჯაპან თაიმზში“ გამოქვეყნებული სტუმრის კვიდან, სადაც განხილულია ივლისის ბაშოს მონაწილეთა შანსები: „ტოჩინოშინმა მასში 10 ბრძოლა მოიგო და ოქტობრის ტიტული დაიბრუნა. მის სახელს უკავშირდება მსაჯებთან მომხდარი გახმაურებული კონფლიქტი, როცა არბიტრებმა ასანოიამასთან დაუმსახურებელი წაგება ჩაუთვალეს და იმპერატორის თასის მოგების შანსი წაართვეს.

მან თავისუფალი დრო სამშობლოში გაატარა და საქართველოდან იაპონიაში ემოციებით და-




ტვირთული დაბრუნდა. სუმო სპორტის ის სახეობაა, სადაც ძალა და ტექნიკა აუცილებელია, მაგრამ კიდევ უფრო მნიშვნელოვანია მენტალური მდგრადობა. ამ მხრივ ტოჩინოშინი ერთ-ერთი გამორჩეულია და მისგან ნაბოიასი საინტერესო ბრძოლებს ველოთ“.

დასასრულს ლევანის მრავალსმეტყველ გულისტოქმასაც გავეცნოთ: „კარიერის დამთავრების შემდეგ მინდა საქართველოში ვიცხოვრო, სადაც დავიბადე, გავიზარდე და იაპონიაში პროფესიულ საქმიანობას ვწვევი. ამომავალი მზის ქვეყანაში საცხოვრებლად დარჩენას არ ვაპირებ - მინდა ჩემს სამშობლოში ჩემს ოჯახთან ვიყო. ბევრი წერილი მივიღე გულშემატკივრებისგან. მათი თითოეული სიტყვა ფასეულია, მაგრამ, სამწუხაროდ, ყველას ვერ გავეცი პასუხი. ისინი მაძლიერებენ და მოტივაციას მმატებენ. ვიმედოვნებ, ივლისის ბაშოზე მათ იმედებს გავამართლებ“.

**კოჯა კოხანიაძე**

თარიღი



საძარბაველს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ლერი ხაბელოვი 55 წლისაა. ოლიმპიური, მსოფლი-

# ხალიჩის რაინდი

ოს სუთგზის, ევროპის ოთხგზის, საბჭოთა კავშირის სამგზისა და საკავშირო სპარტაკიადის ჩემპიონი მსოფლიოს თასის მფლობელიც გახლავთ. მოიპოვა აგრეთვე პლანეტის ჭაბუკთა და ახალგაზრდული ფორუმების ოქროს მედლები.

ხალიჩის რაინდი სპორტული კარიერის დასრულების შემდეგაც რაინდად რჩება: პარლამენტში, სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტსა და ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტში პასუხსაგებ თანამდებობებზე ღირსეულად მოღვაწე დიდი ჩემპიონი დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის მეორე ხარისხის, ღირსებისა და ბრწყინვალეების საპრეზიდენტო, აგრეთვე, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტისა და ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების საერთაშორისო ასოციაციების ორდენებით.

ვულოცავთ!  
„სრ“ სპორტის რედაქცია



**როსტომ ჩხეიძისთან შეხვედრა ყოველთვის ასოცირდება ინტელექტის, ნამდვილი ლიტერატურის ზეიმთან, – ეს ბიორბი სორბაბლამი 2019 წლის 16 მაისს თქვა გორის სახელმწიფო უნივერსიტეტში მწერალთან შეხვედრის დროს. ბატონი როსტომი ამჟამად ცნობილ ქართველ მთარგმნელზე ჯემალ აჯიაშვილზე საუბრობდა. შეხვედრა ოთარ ჩხეიძის კაბინეტში გაიმართა. ეს გახლდათ ერთი იმ არაჩვეულებრივ საღამოთაგანი, რომელიც განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას ახდენს სოლიდურ მსმენელზე და საზოგადოებას სამუდამოდ ამახსოვრდება. სტუმარმა ჯემალ აჯიაშვილის ლიტერატურული პორტრეტი წარმოასახა.**

თუმცა ჯერ მკითხველთან ასეთი, უშუალო შეხვედრების მნიშვნელობა აღნიშნა, მერე ისიც თქვა, ასე რომ არ იყოს, აკაკი წერეთელი არ ივლიდა ხშირად ხალხთან შესახვედრად. დარბაზში მსხდომებმა მხარი აუბეს, გორი უყვარდა განსაკუთრებით, თამარაშენში ივანე მაჩაბელთანაც დადიოდა ხშირად...

ლექციის დაწყებამდე ბატონმა როსტომმა გვითხრა, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სამეცნიერო კონფერენციაც მიეძღვნა გამორჩეული მთარგმნელის ხსოვნას, გამოფენაც და ხსოვნის საღამოც გაიმართა მისი სახელის პატივსაცემად, და შეგვითანხმდა, დღევანდელი დღეც ვიგულისხმობთ თბილისში წამოწყებული კარგი საქმის გაგრძელებად.

ლექციისას არაერთხელ აღნიშნა ჯემალ აჯიაშვილის მორცხვობამდე მისული მორიდებულობა, თუმცა ისიც გვითხრა, შინაგანად სულაც რომ არ გახლდათ ზედმეტად მოკრძალებული და არავისზე ნაკლებად რომ არ მიაჩნდა საკუთარი შემოქმედება. ეს თითქოს ურთიერთსაინააღმდეგო ინფორმაცია საგსებით ბუნებრივად აღვიქვით. განსაკუთრებული ნიჭის მქონეთ ყოველთვისაც აქვთ გამორჩეულობის შეგრძნება, იციან საკუთარი თავის ფასი, ყოფაში გამოსატყუარი მორიდება კი მხოლოდ ხასიათის თვისებაა.

ვახუშტი კოტეტიშვილის ლექციებზეც ისე უხმოდა, წყნარად იჯდა ხოლმე, რომ ლექტორი დანანებით ამბობდა თურმე, აბა, ასეთებს კი არ ექნებათ ნიჭიო. ეს მერე, პირველი პუბლიკაციების შემდეგ გაიცნობდა და გაიოცებდა, შენ ვინ ყოფილხარ, კაცოო. სიმორცხვე მერეც უშლიდა ხელს ფართო აუდიტორიასთან ურთიერთობაში. შეხვედრებსა და საღამოებზე ძლივს ითანხმებდნენ თურმე, სულ სთხოვდნენ, ერთი ლექსიც წაეკითხა კიდევ, შეთანხმებული სამის გარდა. მერე, რომ გათამამდებოდა და სცენაზე მყარად იგრძნობდა თავს, თვითონ ითხოვდა, ერთს კიდევ წაგიკითხავთ, თუ შეიძლება, კიდევ ერთსაცო... უარს ვინ ეტყოდა, სიამოვნებით უსმენდნენ.

ბატონმა როსტომმა მთარგმნელის ერთი თვალშისაცემი თავისებურებაც ასახა – მისი თარგმანები გაცილებით უფრო ვრცელი რომ არის, ვიდრე ორიგინალი. გურამ პეტრიაშვილის გამოკამათებაც გაიხსენა, ნათარგმნი დედანს რომ უნდა ჰგავდეს, რაც შეიძლება, სრულად. ეს თეორიულად საგსებით სწორი დებულება ჯემალ აჯიაშვილმა არ იცოდა ვითომ? მაგრამ ზუსტად, ბუკვადურად რომ ეთარგმნა ძველერაული პოეზია, ისეთსავე სიმძლავრეს მიაღწევდა, როგორსაც ახლა წარმოადგენს მისი თარგმანი?

დისკუსიაში, ძირითადად მაინც კულუარებში რომ ტრიალებდა, გრიგოლ აბაშიძე ჩარეულა და ჯემალ აჯიაშვილის მთარგმნელობითი პრინციპი დაუცავს. შანდორ პეტეფისა და პიერ რონსარის შესანიშნავად ამმეტყველებელი ქართულად, სხვანაირად, აბა, როგორ მოიქცეოდა?! აჯიაშვილისეული რითმები საგანგებოდ გამოარჩია. მაგალითად: ქორნილი - ტანდაკორძილი, შროშანი - სანუთროსანი, ხელუნიფარი - ტვიფარი და სხვა. სახელებიდან ახალი ზმნების წარმოებაც ჯემალ აჯიაშვილის კიდევ ერთ სასიამოვნო თავისებურებად აღინიშნა: შეემტყუნები, შეეფრთოსანო, ამონყაროვდი და სხვა.

ვერც ნაირა გელაშვილმა გაიზიარა

მკითხველის აღფრთოვანება, რილკეს აჯიაშვილისეული თარგმანებით გამონვეული. – ეს ჯემალი უფროა, ვიდრე რილკე. გონება უნდა ქარბობდეს გრძნობას, თორემ რილკეს თავისებურებას ვერ შევიცნობთო.

ჯემალ აჯიაშვილი კი თავისას განაგრძობდა იტალიური პოეზიის, იაპონური პოეზიის, შექსპირისა თუ სხვათა თარგმნისას – რითმას ვერ ელეოდა, კეთილმოვანსა და უზადოს. რუსთაველის, გურამიშვილის, ბარათაშვილის, გალაკტიონისა თუ სხვა ქართველ პოეტთა, განსაკუთრებით მაინც პიროვნებების რემინისცენციები საგრძნობია

ნაყოფიერი აღმოჩნდებოდა ეს თანამშრომლობა რეჟისორისა და მთარგმნელისა, რადგან მედეა კუჭუხიძის შემოთავაზების გარეშე ჯემალს ეგებ არც არასოდეს მოენდომებინა ან ერთი პიესის გადმოქართულება და ან მეორისა, ისევე როგორც ნიკო ყიასაშვილის დაკვეთით უნდა გადმოელო „ლუკრეცია“, ის უილიამ შექსპირის თხზულებათა სრულ გამოცემას რომ ამზადებდა ქართულად და გარშემო იკრებდა იმ მთარგმნელებს, რომელნიც ხელს მოჰკიდებდნენ სახელგანთქმული დრამატურგის ყველა იმ ქმნილებას, რაც ჯერ არ ამეტყველებულიყო ქართულად“.



# „...და აღმადგინა კვლავინდობურად“

## ჯემალ აჯიაშვილის როსტომ ჩხეიძისეული პორტრეტი

ყველა მის თარგმანში. და როცა ბატონი როსტომი იეპუდა ჰალევის აჯიაშვილისეულ თარგმანს იმონებდა, მსმენელთა შუა ხნისა და კიდევ უფროსი თაობის წარმომადგენლები, რომელთაც ახალგაზრდობიდანვე უყვარდათ და ზეპირად იციან ეს თარგმანები, ლექტორს აჰყვნიან და რამდენიმე ხმად გაისმა:

**...როგორ ვგალობდი, როგორ ვხარობდი, შენი მინდვრით და შენი წყაროთი და სიყვარულის საბაღნარომდი რა სასოებით მოვიჩქაროდი!**

ბატონმა როსტომმა კი განაგრძო: „იუმორის გრძნობაც საკმაოდ მომადლებოდა და ხშირადაც მუღავნებოდა მისი საუბრისას, ამბების მოყოლაც ხალისიანი და იუმორნარევი რომ სჩვეოდა, თუმც მისი თარგმანები ისეთი დრამატული და ტრაგიკული ხილვებით აღბეჭდილიყო, ისეთი ქარბორიათი გრძნობებისა, ვერც იფიქრებდი, მის შუაგულში მოქცეულ კაცს იუმორისა თუ გაეგებოდა რაიმე, არამცთუ თვითონ მომადლებოდა.

და მის ამ უნარსაც უნდა ეჩინა თავი კარლო გოცის ტრაგიკომიკური ზღაპრის – „ლურჯი ფრინველი“ – გადმოღებისას ქართულად, მედეა კუჭუხიძის დაკვეთით რომ თარგმნიდა მას შემდეგ, რაც ასეთი წარმატებით დაიდგმებოდა მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე მონძაემონ ჩიკამაცუს დრამატული პოემა.

მომხსენებელმა საგანგებოდ აღნიშნა ის გარემოებაც, რომ:

ჯემალ აჯიაშვილს დიდად არ ესახელებოდა თავი მთარგმნელის მანტიაში და ადრე თუ გვიან მთელი არსებითაც გადაეშვებოდა თავის, საკუთრად მის პოეზიაში, რომელიც არამცთუ უანრობრივი თავისებურებით არ გამოირჩეოდა, არამედ მარტოდენ ერთ ფორმას იკმარებდა: სონეტს – სამაგიეროდ, უხვად რომ გადმოაფრქვედა...

ყრმობის ხილვები მოტივიტივებდა მხატვრულ ძიებებში, სამუდამოდ თავისთან რომ ეგულებოდა, ნოემბრის შუქი დასთამაშებდა ბუბუს და ჩინარებს და მზე ხალისობდა, შემოდგომის მზე მომცინარე, ოდიშის ცაზე განფენილი დიბა-ფარჩებით.

ისვენებდა ხელი – დამაშვრალი ხელი გამჩენის, ჯარგვლის უკან კი, მიმწუხრისას, მინდვრის წინარე ამღერებდა ქარი ჩალისღერებს და ონინარებს იმ ძველკოლხური რაფსოდიით და თუთარჩელით.

მალდა მეჯლისი გაემართათ სოფლის მნათობებს და ორდობეში გულიანად მასლაათობდნენ ვიდაც უცნობი მალაკანი და კათოლიკე... მთვარე, დაღლილი, მოგონებებს ეამბორებოდა და:

**შენ კი – სხვაგან ქრის მეოცნებე შენი გაივება, – სხვა სივრცეებთან მუსიაფობ, ჩემო თოლიგე!**

ამ სონეტითა და ამ სტრიქონებით თავის ბავშვობას მიმართავდა ჯემალ

აჯიაშვილი, იმ პატარა ჯემალს, რომელსაც არ გამოორჩებოდა ოდიშის ყოფითი, კოლორიტული სურათები, მაგრამ იმავდროულად სხვაგან ქროდა მისი გონება და სხვა სივრცეებთანაც მუსიაფობდა.

მისი სონეტების კრებულის უკანასკნელ ნიმუშს ეპიგრაფად წაემძღვარებოდა ამერიკელი პოეტის კარლ სენდბერგის სტრიქონი: მე ვარ ბალახი, მე ვფარავ ყველაფერსო...

და როსტომ ჩხეიძე თავის მხრივ დასძენდა, რომ:

– ბალახი მართლაც ფარავდა ყველაფერს, რასაც გარეგნული იერი მინიჭებოდა, მაგრამ ვერას აკლებდა ხსოვნას, ვერას აკლებდა დიდ სულიერ მონაპოვარს, პოეტურ სტრიქონთა მიღმა ასე ძალუმად რომ ფეთქავდა და იმ ფეთქვასა და გულისცემას კი რომელიც ბალახი გადაფარავდა... და იმ ფეთქვიდან და გულისცემიდან ამოზრდილი ფიქრი კვლავ ითაკად გასიმბოლოვებული საქართველოს თავზე იბრუნებდა და კვლავინდებურად ამღერებდა ქარი ჩალისღერებს და ონინარებს და ჩაეფინებოდა ძველკოლხური რაფსოდიისა და თუთარჩელის სონეტთა დინებას, ამოზრდილს იმ ყმანვილკაცის ნატვრა-ოცნებებიდან, გულში მზე რომ ენთო გორგასლიან-დავითიანთა და სულს ინრთობდა იაკობ გოგებაშვილის „აი-ია“-თი...

ცხადია, ბევრი მნიშვნელოვანი რამ გამოვტოვე როსტომ ჩხეიძის საუბრიდან. სრულ მოხსენებას, ალბათ, მალე დაბეჭდის გაიცნობს მკითხველი. მე მხოლოდ ლექციის სულის შენარჩუნებას შევეცადე, ბოლო აკორდად კი ბატონმა როსტომმა ქართული პოეზიის სრულფასოვან ნიმუშთა შორის მოიხსენია ჯემალ აჯიაშვილისეული თარგმანები და მათ შორის მოშე იბნ ეზრას ეს სტრიქონებიც:

**ასე გივალბებ...ჩემი სასო ხარ... სისხლის ტბორი ხარ, ცრემლის მორევი, ახლაც...შენ გიმღერ, ბინდის სამანზე, შენს საკურთხვევლს ვეამბორები. მაშ, განმიახლე კარი აღსავლის, მღალადებლის წინ აღსდეგ მეფურად, აღმინთე ცეცხლი, ვანი აღმიგე და აღმადგინე კვლავინდებურად!**

**\* \* \***  
იოსებ ჭუმბურიძემ წამოჭრა საკითხი, თუ ვის შეიძლება ვუნოდოთ გენიალური. სინანულით თქვა, რომ ამ სიტყვამ დღეს თითქოს მიწვეულობა დაკარგა, ან შეიცვალა მაინც, ისე ხშირად გამოიყენება ლამის განურჩევლად ყველას მიმართ.

ამ თემამ ბატონ როსტომს ასეთი რამ გაახსენა:

ერთხელ თურმე ყველასთვის საყვარელ მწერალს, შიო მღვიმელს გაუმართეს საღამო. მერე ახალგაზრდობას მოუნდომებია ეტლიდან ცხენული გამოეხსენა და შიგ თვითონ შებმულიყო, რათა ასე გამოეხატა განსაკუთრებული პატივისცემა სტუმრისადმი, მაგრამ ვილატას შეუჩერებია ისინი: ხვალ რომ აკაკი გვესტუმროს, მაშინ რაღას ვიზამთ, იმის სიყვარულს როგორდა გამოეხატავთო?!

იოსებ ჭუმბურიძემაც გაუსვა ხაზი ჯემალ აჯიაშვილის მორიდებულ ბუნებას. ერთხელ ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ დარბაზში ბატონ ჯემალს მადლოება გადაუხდია დიდი ხნის უნახავი ბატონი იოსებისთვის ერთი წერილის გამო. საქმე ისაა, რომ ის წერილი ბატონ ჯემალს არ ეხებოდა. ავტორი რევაზ თვათაძეს გამოეცხადებოდა და ერთი გაუმართლებელი თავდასხმისგან დაიცვა, ასე გამოვლინდა ჯემალ აჯიაშვილის კაცთმოყვარული სული და ადამიანური ბუნება.

